საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №12

2026 წლის 2 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2025 წლის 20 თებერვლის №14 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2025 წლის 20 თებერვლის №14 ბრძანებით (ვებგვერდი, 20/02/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010320040.22.026.017298) დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. მონიტორინგისა და ბაზრის კვლევის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (მესამე რანგი, კატეგორია – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამუშაო გამოცდილება შესყიდვების, ლოჯისტიკის, მშენებლობის, ფინანსების, ეკონომიკის ან სამართლის სფეროში – 2 წელი.“.

2. მე-9 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ელექტრონული შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (მესამე რანგი, კატეგორია – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამუშაო გამოცდილება შესყიდვების, ლოჯისტიკის, მშენებლობის, ფინანსების, ეკონომიკის ან სამართლის სფეროში – 2 წელი.“.

3. მე-13 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. არაელექტრონული შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (მესამე რანგი, კატეგორია – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამუშაო გამოცდილება შესყიდვების, ლოჯისტიკის, მშენებლობის, ფინანსების, ეკონომიკის ან

სამართლის სფეროში – 2 წელი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**